ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7052469

ნომერი: AR11036889

თარიღი : 25.05.2024

გაცემის თარიღი : 29.05.2024

გაცნობის თარიღი : 29.05.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქუჩა ასათიანი, N10, (ნაკვ.14/012);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ არსოშვილი პ/ნ 12001013940
- თბილისი, დიდი ლილო, მ.გელოვანის ქ. N18

ორგანიზაცია:

- შპს არსი კოდი: 426523791

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა
  ახალი მშენებლობა
- V კატეგორიის ელექტროსადგურები (50 კვტ-მდე ჰიდროელექტროსადგური, მზის ან ბიოგაზის დანადგარი)
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. ფოტომონტაჟი: ველში წარმოდგენილი პროექტი ასევე უნდა მოიცავდეს საპროექტო ნაგებობის ჭრილებს, გეგმაზე კი ასევე აისახოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სხვა ხაზობრივი ნაგებობები და მათი არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი თანხმობები (შეთანხმებული სქემა);
2. არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება: წარმოსადგენია N01.10.15.014.029, N01.10.15.014.030 და N01.10.15.014.031 მიწის ნაკვეთების უფლებამოსილი მესაკუთრის შპს „BD Property“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404390967) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის გენერალური დირექტორის გიორგი რუსიას (პირადი N01026003892) მიერ განმცხადებლის თეიმურაზ არსოშვილის (პირადი N12001013940) სახელზე წერილობით გაცემული - სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ განმცხადებელს ნამდვილად ხელეწიფება უფლებამოსილი მესაკუთრის სახელით მომართოს საკითხის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვოს პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობის წერილობით დადასტურება (გამოსცეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი).

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.